რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზე. იგ. მუხრანსკის სახლში.

ხელის-მოწერა

მიიღება თვილისში „დროების" რედაქციაში, ქუთაისში: ჭილაძის (გერარდის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба".

„დროების" ფასი:

| | | | |
|---|---|---|---|
| მთელის წლისა | 9 მან. | სამის თვისა | 3 მან. |
| ექვსის თვისა | 5 მან. | ერთის თვისა | 1 მან. |

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა

[illegible]

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა" ღირს ერთი შაური.

## ტელეგრამმა

(„ჩრდილოეთის ტელეგრაფის სააგენტოსი")

პეტერბურღი 2 თებერვალს. „მმართებლობის მოამბეში" დაბეჭდილია, რომ კლიმოვი, ხოლოდკოვსკი და ივაშინცევი მესამე პუნქტის ძალით არიან სამსახურიდამ დათხოვნილნი.

გაზ. „ახალ დროებაში" იწერებიან, სამხედრო სამინისტრო სელ-ახლად შუამავლობს, რომ ამ 1882 წლის მაისიდამ ყველა სამხედრო ექიმებს ჯამაგირი მოემატოსო.

## ქალაქის რჩევის სხდომა

1 თებერვალს.

რადგან წინათვე იცოდნენ, რომ იმ „სკანდალის" თაობაზედ ჩამოვარდებოდა სჯა, რომელიც გაელილ ორშაბათს მოხდა, ამის გამო აუარებელი ხალხი მოაწყდა ქალაქის რჩევის ზალას ასე, რომ მაყურებელთათვის დანიშნულ ადგილას ტევა აღარ იყო.

ხმოსანთა რიცხვი იყო 34.

სეკრეტარმა წაიკითხა წინანდელ სხდომის პროტოკოლი, რომელშიაც თითქმის სტენოგრაფიულის სიბეჯითით იყო მოხსენებული ყველაფერი, რაც იმ სხდომაზე მოხდა და ითქვა.

ხმოსანმა ბ. ნ. დ. ზუბალოვმა გაასწორა რამდენიმე შეცდომა, რომელიც, იმის აზრით, ამ პროტოკოლში შეპარულიყო.

— სხვათა შორის, სთქვა ბ. ზუბალოვმა, ერთი რომ აკლია ამ პროტოკოლში: მოხსენებული არ არის, რომ გამგეობის წევრნი მთავრობისაგან მინიჭებულის ნიშნით (მენდლით და ჯაჭვით) არ ყოფილან იმ სხდომაზედ.

ქალაქის თავმა ბ. ა. ს. მატინოვმა აღუთქვა ხმ. ზუბალოვს, რომ ხსენებულ შეცდომებს პროტოკოლისას გავასწორებთო.

შემდეგ ქალაქის თავმა წარმოსთქვა დაახლოებით შემდეგი სიტყვა:—გაელილ სხდომაზე ჩვენ ვიყავით მოწამენი იმ უწესოებისა და შეურაცხყოფისა, რომელიც ერთმა ჩვენგანმა ბ. თამამშოვმა მიაყენა ხმ. ზუბალოვს. მეორეს მხრით ამავე საღამოს და კვლავაც ბ. ზუბალოვს არა-ერთხელ მოუყენებია ამ კრებისათვის შეუფერებელი და უკადრისი შეურაცხოფა. რაც შეეხება ბ. თამამშოვის მოქმედებას, ეს საქმე სასამართლოს აქვს გარდაცემული და იმის გადაწყვეტილებას უნდა მოველოდეთ. ბ. ზუბალოვის თაობაზედ კი მინდა ვთქვა, რომ იმის მოქმედებიდამ სჩანს, რომ ერთი სურვილი ამ ხმოსანისა მხოლოთ ის არის, რომ შეურაცყოფა მოგვაყენოს ჩვენ და არა ქალაქის სარგებლობისათვის იზრუნოს. ის ისეთ რამეებს სწამებს რჩევას და გამგეობას, რომელიც უეჭველია, თვითონვე იცის, რომ ცილის-წამებაა. ის არ ემორჩილება თავს-მჯდომარის განკარგულებას, არღვევს სხდომის წესიერებას და ღონის-ძიებას არ გვაძლევს დალაგებით მოვილაპარაკოთ საქალაქო საქმეებზედა და სხვ. ამის გამო მე შემომაქვს წინადადება, რომ ბ. ზუბალოვის საქმე სასამართლოს გადავცეთ.

ხმოსანი ს. ა. ამიროვი. ყოველთვის და ყველგან ძნელია მართლის თქმა; მაგრამ დღეს მართალი უნდა ვთქვა, რომ ბ. თამამშოვი მოიქცა ურიგოდ და წინდაუხედავად. მაგრამ უმიზეზოდ არა მოხდება-რა. ბ. ზუბალოვის მოქმედება არა-ერთხელ ყოფილა აქ გაკიცხული. იქნება იმას არ უნდოდა შეურაცხყოფა მიეყენებინა რჩევისათვის, იქნება არ უნდოდა ეთქვა, რომ რჩევა უაზროაო. მაგრამ იმან სთქვა, რომ ქალაქის გასავალი 150,000 მანეთით გარდაემატება შემოსავალსაო. დაგვიმტკიცოს ეს და ჩვენ მუხლით მოვიდრეკთ იმის გენიოსობის წინაშე. ყოველ შემთხვევაში ისიც ისე უნდა იქმნეს დასჯილი, როგორც ბ. თამამშოვი...

ხმოს აბგ. ა. იოანნესიანი სთხოვს კრებას—ნუ იხმარს ისეთს სიტყვებს, რომელმანც დღესაც აღელვოს კრება და ვისმე შეურაცხყოფა მიაყენოს. მაგალითად, ბ. თავსმჯდომარემ იხმარა სიტყვა, რომ ზუბალოვმა ცილი-გვწამაო. აგრეთვე ბ. ამიროვმა უკადრისად მოიხსენია იგივე ზუბალოვი.

ხმოს. ბ. ა. იზმაილოვი (იგივე სეკრეტარი) ამბობს, რომ ჩვენ ერთობ მივეჩვიეთ მკვახე სიტყვების სმენასა. ამას წინად „ცხვრის ფარა" დაუძახეს მთელს ჩვენ კრებას, მთელ ქალაქის წარმომადგენელთა რჩევას. ამისთანა შეურაცხყოფას ადრე თუ გვიან ბოლო უნდა მოეღოს, თუ ჩვენი თავის პატივისცემა ვიცით და მართლა საქმის გასაკეთებლად, და არა ერთმანეთის სალანძღავად, ვართ აქ მოსული. ამის, გამო ჩემის აზრით, ბ. ზუბალოვისა და აგრეთვე ბ. თამამშოვის მოქმედებასაც პროკურორის ყურამდინ უნდა მივაღწევინოთ.

ხმოს. თ. ა. ზ. ჩოლოყაშვილის აზრით, რჩევამ ჯერ ის უნდა გადაწყვიტოს—რჩევა სამმართველო (პრისუტსტვიის) ადგილია, თუ არა. თუ სამმართველო ადგილია, მხოლოდ მაშინ შეგვიძლიან ამ გვარი შემთხვევა და ჩვენი შეურაცხყოფა პროკურორს ვაცნობოთ; თუ არა და მაშინ კი თვითოეულ ჩვენგანს შეუძლია, როგორიც ჰსურს, ისეთი დაკმაყოფილება მოსთხოვოს შეურაცხყოფის მომყენებელს.

ხმოსანს მოჰყავს შემდეგ რუსის მეცნიერ იურისტების ნეკლიუდოვისა და ტაგანცოვის თხზულებიდამ ადგილები, რომლითაც ამტკიცებს, რომ ქალაქის რჩევა არის შეკრებილებითი დაწესებაო, იმის შეურაცხყოფა არ შეიძლებაო; მაშა სადამე თითოეულ ჩვენგანს შეუძლიან ჩივილი და არა მთელს რჩევასაო.

ხმოსანს ნ. დ. ზუბალოვს უკვირს, რომ ამ საგნის თაობაზე ამდენი ბაასია. ზახლავთ სენატის გარდაწყვეტილება, რომელიც პირ-და-პირ ამ გვარ საქმეს შეეხება. ერთმა ხმოსანმა პა-

## «დროების» ფელეტონი, 4 თებერვ.

### ქუთათური ამბები

„ქალების საქმე".—შედარება ამ გვარივე საქმესთან საფრანგეთში.—დამამტკიცებელი ფაქტები.—დიდად სასირცხო და საზიზღარი ამბავი.—დახმარება ადმინისტრაციის მხრით.—აკაკის ლექსი—„შესხმა."—ქალაქის შემოსავალ-გასავალზე.—ფინანსიური მდგომარეობა, და მისი მიზეზი.—კომედია საქმიანობის მაგიერ.—ხბოს თავი!

„ქალების საქმე" გაჩაღებულია, დღეს და გადაღეს ამ ჟამად დასავლეთის საქართველოს პარიჟს — ქუთაისში. „ეხლანდელი ქალები"... „ჩვენი სახელ-განთქმული ისტორიული ქალები"... „რა არის ქალის დანიშნულება" და სხვ. ამისთანა ძველის ძველი, მაგრამ სამარადისო ახალი კითხვები ენაზე დაუკრავს დღეს ჩვენსა ყველას და ყოველივეს, გონიერსა და უტვინოს, დარბაისელს და მატრაკვეცასაც..

რასაკვირველია ყველანი თავისებურად ჰსჯიან, და, როგორც ჩვეულებრივია ჩვენისთანა შეუმჭიდროებელს საზოგადოებაში,—ორ კაცს ვერ ჰნახავ თითქმის, რომ ამ—რაც უნდა იყოს მაინც საყურადღებო საგანზედ—ერთის აზრისანი იყვნენ: ვინ ტყისკენ მიდის, ვინ წყალში!

წინანდელ წერილში ვამბობდი, რომ ამის თაობაზედ ატეხილი (აწ, ვგონებ, დასრულებული) პოლემიკა აკაკისა და ერთის ქალის შუა შარშან წინ „დროებაში" აკაკისვე და ერთ ქართველ ქალს შორის გამართულ პოლემიკასა ჰგავს-მეთქი. ახლა კი არ შემიძლია უფრო ვრცელს შედარებას დავახწიო თავი და ვიტყვი—რომ ზოგიერთს მხრით აქ აღძრული „ქალების საქმე" ჰგავს 1880 წ. პარიჟში აღძრულს ამ გვარივე საქმეს. იქ, როდესაც ქალებმა დაიწყეს მათთვის უფლების შესაძინებლად გაცხარებული ბრძოლა და ამტკიცებდნენ, რომ ეხლანდელი მათი მდგომარეობა სანახევროდ ბარბაროსული და აუტანელია — რამდენიმე ქალებმა,—რომელთ შორის. ზოგი მეუღლე იყო და ზოგი ხასა—რევოლვერითა და კიპაროსის წყლით აკურთხეს მათის უფრო ბედნიერ დების პროტესტი... ამ დროს გამოჩენილმა საფრანგეთის მწერალმა ალექსანდრე დიუმა-შვილმა გამოსცა წიგნაკი: „ქალები, რომელნიც ჰკვლენ და ქალები, რომელნიც თავს იცვენ." მწერალი ამართლებდა ქალებს და იჭერდა მათს მხარეს.

აქკი დაწერა თუ არა ქალმა „შრომის" № 1-ში აკაკის ვითომ პასუხად, რომ თუ რამე ნაკლი გვაქვს, ეს ჩვენი მდგომარეობის ბრალიაო, მოგვცენ კაცებმა თავის უფლებანი და მაშინ ჰნახავთ—რა ვიქნებითო და სხვ., მაშინვე პასუხად მიიღო ჩვენის გაზეთისა და „შრომისაგანაც", ა) რომ უკეთესი მდგომარეობა მათის საკუთარის ღირსებით და შრომით უნდა იქმნეს მოპოვებული, ბ) რომ ისინი იმ უფლებითა და მდგომარეობითაც ვერ სარგებლობენ რიგიანად, რომელიც დღესაცა აქვთ.

მწარე სიტყვებია, მაგრამ მართალი კია, ჩვენდა საუბედუროდ.

ოც-და-ოთხს იანვარს მომხდარმა საქმემ ეს გააჩაღა და დაამტკიცა. დიდ ხანს არ დაავიწყდებათ ეს დღე ქუთაისელებს. ეს დიდი სკანდალი მეორეა მას შემდეგ, რაც თავადმა მ. გურიელმა გაროზგა ამ ნაირივე საქმისათვის სამოსამართლო პალატის წევრი, იმ განსხვავებით, რომ მაშინ ქალს არ გამოუჩენია იმ გვარი უტიფრობა და უნამუს-უსირცხვილობა, როგორც ეხლა. ზემოხსენებულს დღეს ქუთაისელებმა დაინახეთ ერთი ფაეტონი, ქალიშვილით და დედ-მამით მიმავალი, რომელსაც უკან მიჰყვებოდა პოლიციის წარმომადგენელი მოხელე და მას კი ერთი ფურგუნი ბარგი-ბარხანით სავსე, დატვირთული მისდევდა. ეს მოხდა საძაგელისა და საზიზღარის სცენის შემდეგ მაღალ მდგომარეობიანის ცოლ-ქმარს შუა.

სოფლიდამ დაბრუნებული საპატიო თავ-მომწონე ახალ-გაზდა თავადი (ტ. დ—ნი) შედის სახლში და უცნაურს

შკოვმა შეურაცხყოფა მიაყენა ოდესის საზოგადო დუმას (რჩევას) და სენატმა თავის გარდაწყვეტილებაში გამოაცხადა, რომ ქალაქის რჩევა პრისუტსტვიის ალაგია და პაშკოვის საქმე პროკურორს უნდა გარდაეცესო. ამნაირად დღეს ჩვენ სამი საგანი გვაქვს გასარჩევი: 1) სასამართლოს ექვემდებარება ბ. თამამშოვის საქმე, თუ არა? 2) სამსახურის თანამდებობის ასრულების დროს მოახდინა იმან ეს დანაშაული თუ არა? და 3) თუ სამართალში უნდა მიეცეს, გადაყენებული უნდა იქმნეს თანამდებობიდამ თუ არა?

ხმოს. იზმაილოვი ამბობს, რომ ბ. ზუბალოვმა სწორად წამოაყენა განსახილველი საგნებიო. მაგრამ ამ გვარივე სჯა უნდა გვქონდეს ჩვენ დღეს თვით ბ. ზუბალოვის მოქმედებაზედაცაო. ცხადია, რომ ბ. თამამშევმა შეურაცხყოფა მიაყენა ხმოსანს ზუბალოვს და აგრეთვე ამის გამო ჩვენს კრებასაც; მაგრამ მე ვამტკიცებ, რომ ეს შეურაცხყოფა იმან მიაყენა, როგორც უბრალო ხმოსანმა, და არა როგორც გამგეობის წევრმა თანამდებობის ასრულების დროს. კიდევ ვიმეორებ, ორივეს საქმე პროკურორს უნდა გარდაეცეს.

რამდენიმე ხმოსანმა წარმოთქვა კიდევ ამ საგნის შესახებ სიტყვა და ბოლოს, თავსმჯდომარისაგან დადგენილ კითხვებზე, რჩევამ შემდეგი გარდაწყვეტილება მიიღო კენჭის ყრით: თამამშევის დანაშაული უნდა ჩაითვალოს, როგორც უბრალო ხმოსანის დანაშაული; ამისა და ბ. ზუბალოვის მოქმედება წარედგინოს პროკურორს.

ღამის 11 საათზე სხდომა გათავდა.

## დღიური

ჩვენ შევიტყვეთ, რომ იმ პროექტის ძალით, რომლითაც საზაფხულო თეატრის ახალი ანტრეპრიონერი პ. შიოლიევი ეკვრება მთავარ სამმართველოს, ეს ანტრეპრიონერი ვალდებულია, რომ თვეში რვა სალამო დაუთმოს ადგილობრივ, ე. ი. ქართულსა და სომხურ სცენებს; ამ რვა სალამოდამ ოთხი ქართველებისთვის იქნებაო და ოთხიც სომხებისათვის. და თითო სალამოში ანტრეპრიონერმა ადგილობრივ თეატრის დასსების მმართველთ უნდა გამოართვეს ქირად მხოლოდ ის, რაც თვითონ დაეხარჯება.

* * *

დღეს, 3 თებერვალს, დილის 10 საათზე გაუჩნდა ცეცხლი ბ. შაბუროვის ახალს შენობას, მუზეუმის პირდაპირ, გუბერნიის გამგეობას ქვეშ, ბ. წურინოვის აფთიაქის ნივთების სარდაფში. ერთის საათის განმავალობაში მთელი ქვედა სართული ამ დიდ სახლისა ცეცხლის ალში იყო. შუადღეზე მეორე სართულსაც მოედვა ცეცხლი. ახლა, როდესაც ჩვენ ამ სტრიქონებსა ვწერთ, ნაშუადღევის ორ საათზე, ცეცხლი კიდევ ეკიდება, არსენალის პარკიდამ ცეცხლის საქრობი ორთქლის მაშინა მოიტანეს და იმედი აქვთ, რომ ამის შემწეობით ცეცხლს გავრცელების გზას შეუკრავენ.

გუბერნიის გამგეობაში, როგორც მოგეხსენებათ, დიდი არხივია, ბევრი დოკუმენტები საადგილ-მამულო და გამიჯვნის საქმეები, პლანები და სხვა ათასი საბუთები. არხივი როგორც ამბობენ, ეზოს შენობის სარდაფშიაო და იმას ცეცხლი ვერას ავნებსო, მაგრამ სხვა ათასი საქმეებს კი ფანჯრებიდამ გადმოჰყარეს, ტალახში ფეხ-ქვეშ ისრისებოდა და შესაძლებელია, რომ ბევრი დაიკარგა და გაფუჭდა. სახელმწიფო გონებათა გამგეობის კანცელარიაც ამ შენობაში იყო. დაწვრილებით შემდეგ.

* * *

გაზ. „რუსსკი კურიერში“ დაბეჭდილია, ჩვენ გავიგონეთო, რომ კავკასიის გამიჯვნის წესდებაში დიდი ცვლილება უნდა მოახდინონო.

* * *

დღეს გამოვიდა და დაურიგდა ხელის მომწერთ იანვრის 1882 წლის წიგნი „ივერიისა“ შემდეგის შინაარსით: ა) „ივერიის“ რედაქციისაგან, ბ) კონა, (მოთხრობა) ეკ. გაბაშვილისა; გ) მომილოცნია ახალი წელი! (ლექსი) ი. ბაქრაძისა; დ) ხალხური ლეგენდა (ლექსი) თ. რაფ. ერისთვისა; ე) დავით გურამიშვილი და იმისი დრო (წერილი მესამე) თ. ჟორდანიასი; ვ) რაზე მიწყრები ყვენო? (ლექსი) თ. რაფ. ერისთვისა; ზ) რა უნდა იყოს სეტყვის მიზეზი. ნ. ნათიძისა; ჱ) უსლარი და იმისი თხზულება: უძველესი თქმულება კავკასიაზე (წერილი პირველი); თ) ობოლი (ლექსი) ვ. ი—სა; ი) საპოლიტიკო მიმოხილვა; ია) თეატრი („არსენა“ და „სამშობლო“); იბ) სხვა-და-სხვა ამბავი; იგ) შინაური მიმოხილვა; იდ) განცხადებანი.

## „დროების“ კორრესპონდენცია

ქ. ახალქალაქი, 28 იანვარს. ამ იანვრის 11-ს მე მივიღე ფოჩტით ბ. ზაქ. ჭიჭინაძისაგან 138 ეგზემპლიარი 24 სხვა-და-სხვა სათაურიანი ქართული წიგნები, შემოწირული ზოგიერთა პატივცემულ კერძო პირთაგან ამ მხარეში მუქთად დასარიგებლად.

ამ წიგნების დარიგება ამ გვარად მაქვს დასახული:

1) ვინც კი ადგილობრივ მცხოვრებთაგანი ქართული წიგნის მცოდნე შემხვდება, ანუ მის ოჯახში თუ აღმოჩნდა, ვაძლევ რამდენიმე ეგზ.

2) თუ შემომწირველთ სურვილია, სკოლებსაც დაურიგებ.

3) სახეში მყავან ზოგიერთა სანდო და პატივცემული პირნი ახლად შემოერთებულ ქვეყნებშიაც: არტაანში, შავშეთში, არტანუჯში და ართვინში, რომელნიც დიდი სიამოვნებით იკისრებენ ამ საქმეში დახმარებას და დარიგებას [illegible] გამაჰმადიანებულ ქართველობში.

4) ზოგიერთა პირთ, რომელთა[...] ვის საკადრისიც არ არის მუქთად სარგებლობა და პირ-იქით შეძლება [...] საზოგადო მდგომარეობა ზნეობი[...] ვალად ხდის შემწეობაც მისცეს [...] საქმეს, ვართმევ წიგნების ჯვედრ ფას[...] და ამ ფულით ისევ სხვა წიგნებს [...]წერ ბ. ჩარკვიანის მაღაზიიდგან.

ამ ჟერათ ეს წიგნები დარიგდნენ ამ გვარად: ახალქალაქში 14 ეგზ., სოფ. კოტელიაში 4 ეგზ., სოფ. ვ[...]რევანში 12., ბარალეთის სკოლას 27 ეგზ., სოფ. ხიზაბავრაში 2 ეგზ., სოფ. ქილდის მღვდელს მამა გიორგი ასათიანს, რომელსაც ჩვენი მკითხველი საზოგადოება კარგად იცნობს, როგორათაც მოღვაწე კაცს ქართველობისათვის, მიეცა დასარიგებლად 20 ეგზ., ბატონ მიხეილ მუსხელაშვილს მიეცა დასარიგებლად 20 ეგზ., რომელმაც დიდი სიამოვნებით იკისრა ზოგიერთა გამაჰმადიანებულ ქართველებში დარიგება, რომელნიც არა[...] თუ კარგად ლაპარაკობენ ქართულ ენას, მამა-პაპურ ანაბანასაც კი ჯე[...]რაც ხალისიანად ასწავლიან ერთმანერთს. ამ გვარ სოფლებში უფრო შესანიშნავია ოშორა, სადაც ჯერა[...] ამაყად აღმართულნი არიან ჩინებული არხიტექტურის დიდროანი მონასტრები და კოშკ-გალავნები. ყველა ეს ქართველთა დიდების მოწამენი ოშორელებს დღესაც დიდის პატივისცემით აქვსთ დაცული და ყოველ დღესასწაულ დღეებში ამ თავიანთ მამა-პაპის წმიდა სალოცავებს სანთელ-საკმლით გაამშვენებენ ხოლმე. თითქმის ერთ იშვიათ მოვლენათაგან ისიც ჩაითვლება, რომ ამ სოფლის ბევ[რი] ქართველობას ჩემობს და მამულიშვილობაზედ თავდადებულია.

აქ არ შეიძლება არ ვუსაყვედუროთ ჩვენს „წერა-კითხვის გამავრცელებელ[...]

ელდა ეცემა მისს გულს; „სრა დახვდა მოფარდაგული ოქსინოთა და შადითა“—ქალო, ეს რა ამბავია, ვინ მოგცა ამდენი შეძლება, რომ სახლი ასე მოგირთავს? ეტყვის ქმარი თავის(?!) ცოლს. მიხვეულ-მოხვეულის, გზა დაბნეულის თავას მართლების შემდეგ, ცოლი გაუტყდება ქმარს, რომ მას უყვარს ერთი დიდი ვინმე, რომ ამიერ მისის საფასით რჩება და მის მეტი აღარავინ უნდა ქვეყანაზედ. საოცარის ნების ძალით ტ—ი იმორჩილებს აღელვებულ სისხლს და წინადადებას აძლევს მთელი თავისის და მისი კუროს ქალებით ეხლავ დასცალოს შერცხვენილი ოჯახი და გადვიდეს დედ-მამასთან. ნამუსზე გადასრული კნეინა ეუბნება:—ვერ გამიბედავ გაგდებას, რადგანაც ჩემი საყვარელი იმ წამსვე მოგკლავსო. მიიღე ფული და დასთმე ჩემი თავიო, მაგრამ შენ ცოლად კი მაინც ვითვლებოდეო.

—გამეცალე, განვედი ჩემის სახლიდგან! აღელვებით ეუბნება ულირს ცოლს ღირსეული ქმარი, რომელსაც სისხლი ყელზედ აწვება.

—ნუ ბედავ გირჩევნია, თორემ ხვალინდელი დღე აღარ გაგითენდებაო!

ესმის კვლავად. ქმარი მიდის ქალის დედ-მამასთან. აჰა, ჭირზედ ჭირიც! „გაჩუმდიო!“ იქაც ეუბნებიან. მიჰმართა გუბერნატორს, პოლიციის უფლებით დახმარებისათვის. გუბერნატორმა მიიწვია „მიზეზი“ ამ საზიზღარი საქმისა, დარწმუნდა მისს სინამდვილეზე და დაეხმარა ქმარს ცოლის განძევებაზე...

ყველაფერი აქ თქმული თვით ტ. დ—ნმა გადმომცა და ყოველ წამს შემეძლება, თუ საჭიროება იქნება, წერილობითი საბუთებიც ვიშოვნო, მაგ. წერილი გუბერნატორისა დ—დმი, რომ ის მზად არის შეურაცხყოფილს ქმარს კანონიერი შემწეობა აღმოუჩინოს.

აქ ის კი არ უნდა გვაკვირვებდეს, მაინცა-და-მაინც, რომ ცოლმა ქმარს უღალატა. არა. საკვირველი და საზიზღარი ის არის, რომ ქალს იმდენი კადნიერობა აღმოუჩნდა, რომ მეუღლეს პირში ეუბნება: სხვა მიყვარს, შენ მძულხარ, მაგრამ არ მოგშორდებიო. ნუ გაბედავ ჩემს გაგდებას, თორემ მოგკლავს ჩემი საყვარელიო; შენს პატიოსნებას ფული ამჯობინე და გაჩუმდიო! საზიზღარი ის არის, რომ ამ ქალბატონის დედ-მამაც სიძეს „გაჩუმებას“ ურჩევდენ!

—

დიდი ნახტომი კი არ იქნება, ახლა რომ ეს მოგახსენოთ. ალექსანდრე დიუმა-შვილის წიგნაკის ნაცვლად „ქალების გამო“ ატეხილი პოლემიკა ჩვენსა შეიმკო აკაკის შემდეგის ლექსით, რომელიც პოეტმა ექსპრომტად უთხრა ერთს ქალს, შემდეგ თხოვნისა, რომ მას გამოეხატა „ერთის წრის“ ქალების თვისებანი. ლექსს პოეტმა დაარქვა—ჩემგან დასაბეჭდად თხოვნის შემდეგ

**შესხმა ზოგიერთს ქალებს.**

შვენიერება ციური
ქვეყნად ვის მოუტანია?
ბროლ-მკერდა, სახე ნათელი,
ალვის ხე მისი ტანია.

—

გრძნობა—ილბუზ მაღალი,
გონება—უფსკრო, უძირო;
ზნეობა—თვალ-მაქც-მხიბლავი,
ორ-პიროვანი უპირო!

—

ვითა ფუტკარი გზუილით
სავსე სკას ტკბილ თაფლიანსა—
ჭაბუკნი ენა წყლიანნი
ეტრფიან ენა წყლიანსა!

რა გამოდის ამ გვარ ადამიანებ[ის] ტრფიალებისაგან და რა გარყვნილე[ბ]ის ელემენტები შემოაქვს მას ჩვენ[ს] ცხოვრებაში—ამას ზემოთქმულისაგან დაინახავდა ჩემი მკითხველი, რომლ[ის] ყურადღება აწ ქალაქის რჩევას დ[ა] შემოსავალ-გასავალს უნდა მიაქ[ცი]ციო.

—

ამ შემოსავალ-გასავლის დეფიცი[ტ]ტი, როგორც მკითხველებმა იცი[ან] არის 18,550 მან. და 14$^1/_2$ კაპეიკ[ი] მაშასადამე მეტია შარშანდელს დ[...]

საზოგადოებას“. რა იქნება, ბატონებო, რომ თქვენი მოწყალე თვალით აქეთაც გადმოიხედოთ. დღე ერთია და აქაურ სკოლის მასწავლებლების ტირილი და ჩივილი ათასი, რომ არავითარი ქართული წიგნები და სახელმძღვანელოები არა გვაქვს სკოლებისათვისო, რომ ბავშვებს ვასწავლოთ სამშობლო ენაო. თუ რამდენათ დანატრებულები არიან ბავშვები ქართულ წიგნებს აქედგან ადვილი მისახვედრია, რომ, როდესაც აქედგან წაღებული ქართული წიგნები მიეტანა ბარალეთის სკოლის მასწავლებელს ბ. ხმალაძეს, ბავშვები ისეთ გვარად ხარბათ და ბატკნებივით ბღავილით მისცვივდნენ, როგორათაც სამი დღის მშიერი კაცი ქადას; მაგრამ 60 ბავშვს რომელ ერთს გაეწვდინდა.

ეს სკოლები, როგორც მოგეხსენებათ, დაარსებულნი არიან „კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებისაგან“ და არც ეს საზოგადოება უგზავნის ქართულ წიგნებს და ბავშვები მოაცუნცულებენ თითო-ოროლა შაურს და ეხვეწებიან მასწავლებლებს ქართული წიგნების შოვნას. ამ გვარად მოგროვილი ფულით შარშან ბარალეთის მასწავლებელმა ბ. წითლანაძემ გამოიწერა რამდენიმე ეკზემპლიარი „დედაენა, და ბუნების კარი“, მაგრამ ეხლანდელი მასწავლებელი ბ. ხმალაძე დღესაც შემომჩიოდა, რა გავხდე იმ წიგნებითო, 60 ბავშვს რაგვარ გავახდინოო.

ამ გვარივე ჩივილი ქართული სახელმძღვანელო წიგნების უქონელობაზედ არის ძილდის სკოლაშიაც, სადაც ქართული ენის სწავლა იკისრა მამა ბიორგი ასათიანმა.

მკითხველთა სასიამოვნოთ აქვე უნდა მოვიხსენიო, რა მშვენივრად მიდის სწავლა ამ ძილდის სკოლაში. ვაჟების სწავლა, რასაკვირველია, თავის რიგათ მიდის, მაგრამ ქალები წერა-კითხვის გარდა ისე რიგით არიან ხელსაქმეში გავარჯიშებულნი, რომ ეს სკოლა ბევრად სჯარბობს ზოგ ქალაქების ორ-კლასიან სკოლებს და ბევრს ქალაქის ქალს დაენატრება ამათი ხელსაქმის ცოდნა, ამ გვარ წარმატების მიზეზნი ამ სკოლასა არიან პატივცემული მღვდელი ასათიანი თავის მეუღლით, რომელნიც შეერთებულის შრომით ყოველის ღონის-ძიებით სცდილობენ ამ სკოლის წარმატებას. აგრეთვე ეს სკოლა დიდათ დავალებულია, ამ სკოლის მზრუნველისა ბ. მიხეილ მუსხელი შვილისაგან, რომელიც დაუზარლათ ეხმარება საქმითაც და ფულითაც ყოველ გვარ საჭიროებში.

ადვილათ წარმოსადგენია, თუ რა მადლობის ღირსნი არიან ის პატივცემული და დედა-ენის მოსიყვარულე პირნი რომელნიც სწირავენ ქართულ წიგნებს ამ ხალხისათვის, რომელთაც ისე სწყურიანთ დედა-ენაზე რაიმეს წაკითხვა.

ბოლოს მაინც კიდევ მივმართავ ჩვენს ქართული მწიგნობრობის გამავრცელებელ საზოგადოებას მიაქციოს ყურადღება აქაურ სკოლების და ხალხის მდგომარეობას და დააკმაყოფილოს ხალხის და დღევანდელ დროების მოთხოვნილება.

იღ. ალხაზაშვილი.

## წერილი რედაქტორთან.

„დროების“ მესამე №-ში იყო საინტერესო სტატია ბ. Ი. მეუნარგიასი: „ქართული თვლა და ანგარიში“, რომელმაც გამოიწვია გაკვრითი შენიშვნა მე-10 №-ში. როგორც პირველის ისე მეორეს გამო, მსურს ორიოდე სიტყვა ვსთქვა.

ბ. მეუნირგია ფიქრობს, ვითომც ქართველებს მარტო ათი-ათასამდე სცოდნოდეთ რიცხვთა წერა. მე ვიცი, რომ ჩვენ წინაპართ სცოდნიათ თვლა არამც თუ ათი-ათასამდის, არამედ ასი-ათასამდის და მილიონამდინაც. ამის დასამტკიცებელ საბუთს ეხლავ მოვიყვან: მე ეხლაც მაქვს ხელში ერთი მშვენიერი ძველი ხელ-ნაწერი წიგნი—ქართული ლექსიკონი პატივცემული საბა ორბელიანისა, რომელიც ნამდვილიდამ გარდაუწერია მღვდელს ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილს, როგორც წიგნის ბოლოში არის მოხსენებული, და ამ გადამწერს გაუთავებია თავისი შრომა უოზ ქორონიკონს, ესე იგი 477 ანუ 1788 წელს. აქ, ლექსიკონის დასაწყისში, ჩართულია, სხვათა შორის, რიცხვებიც ა-დამ ჵჵ-დის, ესე იგი ერთიდამ მილიონამდის, თუმცა ამ უკანასკნელის (მილიონის) ნიშანი არ ეთანხმება იმას, რომელიც 10 №-შია გამოცხადებული (ჩ/ჵ).

აქ ადგილი არ არის დავასახელო ყველა რიცხვი, მოვიყვანო მთელი თვლა; მაგრამ ზოგიერთი, მგონია, მეტი არ იქნება: ათასი ისახებოდა ჩ-ით, ორი-ათასი—ც, სამი-ათასი—ძ, ოთხი-ათასი—წ, ხუთი-ათ.—ჭ, ექვსი-ათ.—ხ, შვიდი-ათასი—ჴ (ხარ), რვა-ათ.—ჯ, ცხრა-ათ—ჰ და ათი-ათასი კი ორნაირათ—ჵ და იჩ (10,1000), ათი-ათასი—რჩ (100,1000) და მილიონი ჵჵ; იჩ-ას და რჩ-ს შუა გაშვებულია რიცხვები, მაგრამ იჩ-ის გამოსახულებისაგან შეგვიძლიან ადვილად გამოვიყვანოთ 11000,12000, თუ ვიცით 11, 12, 13 და სხვა; მაგალითად 15000 იქნებოდა იეჩ, 19000—ითჩ და 522472 დაიწერებოდა ფკბჩუობ და სხვა.

ამ სტატიაშივე ავტორი ამბობს, ვითომც უწინდელ ქართველობას არა სცოდნია და არც უხმარნია არაბული ციფრები, ვიდრე რუსების შემოსვლამდე. ამაშიაც ვერ დავეთანხმები პატივცემულ ავტორს, რადგან ისივე ლექსიკონი, გათავებული 1789 წ., სულ სხვას გვიჩვენებს. ამ წიგნში არის მოყვანილი რიცხვები როგორც ქართულის რიცხვებით, აგრეთვე იმის თანასწორი არიან არაბული ციფრები—მილიონამდე. ეს ციფრები ეკუთვნის თვითონ ს. ორბელიანს, თუ გადმომწერ მღვდელს, სულ ერთია,—ერთიცა და მეორეც გვარწმუნებს, რომ ციფრები რუსების შემოსვლამდე იყო ქართულს ლიტერატურაში.

რამდენად მტკიცეა ეს აზრი და რამდენად მოუსწრიათ ციფრებს რუსებისათვის ამას გვიმტკიცებს შემდეგი ფრიად საყურადღებო ისტორიული ფაქტი. მეათე საუკუნის დამლევს და მეთერთმეტის დამდეგს, იმავე დროს, როცა პირველად შემოიღეს არაბული ციფრები ევროპაში, როგორც ჩვენი ისტორია მოგვითხრობს, ყოფილა ბაგრატ მესამე, მეფე აფხაზიისა და ქართლისა, რომელსაც ქუთაისში აუშენებია მშვენიერი ეკლესია მარმარილოს ქვით (გეოგრაფია ვახუშტისა, გვ. 370 და სხვა). ამ ეკლესიის კედელზედ ყოფილა წარწერილი სახელი მეფისა და მისი დედისა (გურანდუხტა) და ამის გარდა არაბული ციფრებით—1003 წელი. ამ ეკლესიაზე ცნობანი, ბროსსეს სიტყვით, იპოებიან პეტერბურგის სამეცნიერო აკადემიაში. *(Les memoires de l'Academie des Scienees, VI serie, sciences pol. et hist. V, 343)*. მაგრამ ამ ეკლესიამ ვერ მოაღწია ჩვენამდე: 1692 წელს ქუთაისს დაეცა ახალციხიდამ ოსმალეთის ჯარი და, სხვათა შორის ეს ეკლესიაც დაექცია.

სტუდენტი მ. ს.

ოდესსა, 25 იანვარს.

## თფილისის სამკურნალო

ავათმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

**ორშაბათს.** გარალევიჩი და ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; ქეღდიში სიფილისტიკური და ხირურგიული

---

ფიციტზე (13,295 მ. $75\frac{1}{4}$ კაპეიკზე) 5,244 მ. 61 კაპეიკით.“ შარშანდულებრ იმედი აქვთ, რომ მმართებლობა შეიწყნარებს შემდეგს თხოვნას ქალაქის რჩევისას: ა) მიიღებს თავის ხარჯზე პოლიციის დარაჯების ხარჯს—5,208 მ. და ბ) დაუბრუნებს ხარკის გადაუხდელ ხარჯს—7,932 მანეთს, რადგანაც ამ ფულის მაგიერი ქალაქის დასახმარებელის ფულიდამ შეცდომით დაუკავებია ხაზინას. კიდეც რომ აუსრულდეს ეს იმედი ჩვენს რჩევას, მაინც რჩება დეფიციტი 5,410 მან. და $14\frac{1}{4}$ კაპეიკი.

ერთის სიტყვით, რაც უნდა ატრიალო, გვერდს მაინც ვერ აუქცევ იმ დასკვნას, რომ ჩვენი ქალაქი სამწუხარო ფინანსიურს მდგომარეობაშია.

და ეს მდგომარეობა მისის მთელი გულ-საქენჯნი სიმძიმით სამართლიან ბრალად ედება რჩევის ბატონთ ხმოსნებს, რომელნიც, ორიოდეს გარდა, ანუ ჩინოვნიკები არიან და საზოგადო საქმისათვის ან დრო და მოცალეობა არა აქვთ და ან სათანადო გონებითი განვითარების უქონველობა არ აძლებინებს ღირსეულს ზრუნვას; ანუ ვაჭრები არიან და ამათს თვისებას ზემოხსენებულთ გარდა, ემატება ისიც, რომ პირადს ინტერესებს ისინი უფრო ხშირად, თითქმის ყოველთვის, უპირატესობას აძლევენ საზოგადო ინტერესთა წინაშე. რჩევის სხდომას რომ ქართულის უმეცარი უცხოეთელი დაესწროს და ყური დაუგდოს მათს გაცხარებულ ბაასს, ეგონება, თუ სადმე კია საზოგადო საქმეთათვის კაცები, აქაც ყოფილანო—ისე გულ-მხურვალედ ეკიდებიან ვითომ ეს ბატონები თავიანთ მოვალეობას.

საუბედუროდ, ეს გულ-მხურვალობა და ცხარე ბაასი სხდომებზედ, მხოლოდ გარეგანი, თვალ-მაქცი ფორმაა შეცდომებით, გულ-აცრუებითა და განზრახ დალატაკებულის შინაარსისა.

არ გეგონოსთ, რომ ამას ჩვენ ცარიელს სიტყვებს ვამბობდეთ. თუ გნებავსთ, დასამტკიცებელს ფაქტებსაც არ დაჭირდება ხანგრძლივი ძებნა. ქუთაისის უძრავ მამულების გარდასახადი წელიწადში იძლევა 17,054 მანეთს, მაშინ როდესაც მცოდნე პირთა აზრით ეს შემოსავალი ადვილად შეიძლება უკანასკნელი 45,000 მანეთამდე აყვანილ იქმნას, თუ კი ამ მამულების გადაფასებას სინდისიერად მოახდენდნენ. **შარშან-წინ** დანიშნეს კიდეც ამ საგნისათვის კომმისია, მაგრამ ჯერაც არ შეუსრულებია მას თავისი მინდობილება—მოვალეობა! აქაურს რჩევას, რომ ეს გადაფასება აქამდის შეესრულებინებინა, არა თუ დეფიციტი, არამედ რამდენიმე ათასი მანეთით გარდაემეტებოდა შემოსავალი გასავალს!

ეს კიდევ არაფერი: ყოველს ქალაქში მინდვრად გაშვებულს ადგილს აძლევს გარდასახადი; ქუთაისის „უზური“ კი მოკლებულია ამ გვარს **შემოსავლს!** რატომ? მიტომ რომ ზემოხსენებული ხმოსნების ჯიბის ინტერესები იზარალებდენ ამით. ვინ მოსთვლის კიდევ რამდენი გადასახადი არ არის შემოტანილი აქ, და სულ იმიტომ, რომ ხმოსანთ საკუთარი ჯიბე იზარალებდა! ის არა სჯობია, მათის აზრით, რომ შემოსავალ-გასავლის აღრიცხვისათვის დეფიციტის ასაცილებლად—კომედიაა მაშ რა არის—ზამგეობის ჯამაგირებს დაეტაკონ და ხან ერთს წევრს მოუკლონ შრომის ფასი, ხან თვითონ თავს და ხან აღმასრულებელი მოხელეს თანამდებობა მოსპონ, რომ ამითი სამას-ოთხასიოდე მანეთის ყაირათი დარჩესთ. ბატონნო ხმოსანნო, რომელნიც უგულებელს ჰყოფთ ხსენებულს საშუალებას ბიუჯეტის გაუმჯობესობისას, რა გამოგიდისთ ოთხასიოდე მანეთის ყაირათით, როდესაც 18,550 მანეთი და $14\frac{1}{4}$ კაპ. დეფიციტი გაქვსთ?

ხბოს-თავო, განა, ბბ. ხმოსნებო?

მოგახმაროსთ ღმერთმა, მაინც კარგად ჩაიგემრიელებთ ამ ერთ ალაბიან თოვლში, რომლის გამო ათის წლის აშლილი ცოლ-ქმარნიც კი შერიგდებიან!

ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი მარლების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**სამშაბათს.** მინკევიჩი—ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი და დანიელ-ბეგოვი—მარლების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**ოთხშაბათს.** ლისიცევი და მირამანოვი შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მარლების სისუსავათმყოფობისა.

**ხუთშაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მარლების ავათმყოფობისა.

**პარასკევს.** მინკევიჩი — ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი, მირამანოვი და დანიელ-ბეგოვი—შინაგან ავათმყოფობისა ; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მარლების სისუსტის ავათმყოფობისა.

**შაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მარლ. ს სუსტის ავათმყოფობისა.

# განცხადებანი


**გორის მახლობლად სამ სოფელში,** რომელნიც მდებარობენ 3, 7-ს და 8 ვერსზედ, იყიდებიან ყოვლის ფრით შემკობილი სახნავი და სათესი მამულები თავიანთის წყლით და სამოვრით.

მსურველს შეუძლიან მიმართოს ვერაზედ, ოლღინსკის ქუჩაზედ, აგურხანის პერეულკში, № 6, ჯავახოვს, რომლისაგანაც შეიტყობს ყოველივე გარემოებას და სადაც ნახავს თვით მამულების პლანს. (3—1)

---

ნაფიცი ვექილი

ალექსანდრე მირიანის-ძე

## ჭყონია

მიიღებს ყველა სასამართლოებში საწარმოებლად სამოქალაქო, სამიჯნაო და სისხლის სამართლის საქმეებს.

სადგომი აქვს: ქუთაისში, სილაზე, მ. ჭყონიას სახლში. (5—1)

---

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

**მამულის**

**საერთო მფლობელობაზე**

თხზულება

ანტონ ფურცელაძისა

გამოცემული

ზაქარ ჭიჭინაძისაგან.

ფასი თითო წიგნისა ერთი აბაზი

---

ი. მურადოვის

**წიგნის მაღაზიაში**

## ქუთაისში

მუდამ არის დამზადებული საკმაოდ ყოველ გვარი სასწავლო წიგნები, რომელნიც კი მოეთხოვებად სავაჟო და საქალებო გიმნაზიებში, სახალხო და სამოქალაქო სკოლებში მოსწავლეთა. არის აგრეთვე დიდ-ძალი სამოსწავლო და სკოლაში სახმარო ნივთები და მოთხოვნილებისა დაგვარად დახაზული რვეულები, ასი—5 მანეთი., მუზიკალური ნოტები, სხვა და სხვა საწერი ნივთები და მასალეები უფრო იაფ ფასად, ვიდრე სხვაგან.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა მოთხოვნილებას მაღაზია დაუყოვნებლივ აასრულებს და გამოგზავნის პირველივე წამომავალი ფოშტითა. (50—50)

---

## ისყიდება

25% ნაკლებ მინამ სხვა ადგილას ჩაი, კაკაო, შეკოლადი, ბისკვიტი, მურაბა, ბრინჯი, ჭურჭლები, სტაქნები, ბაკლები, თეფშები, ჩაინიკები, სუდოკები, ფოდნოსები, პირის-საბანი, კლიტეები, სამურველი, ტანისამოსის საკიდი, კოვზები, დანები, კალმები, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, კარანდაშები, თოფები, რევოლვერები, კრაგები, პლაშჩები, ვანები, ქამრები, საყელურები, კლიონკა, უნაგირები, ლაგმები, უთოები, ტახტები, პირისახოცი, ცხვირის-სახოცი, ხულქები, ტუალეტის საპონი, დუხები, შარბათი, ციტმატმაგნეზია, ქინას ღვინო, პორტ-ვეინი, ხერესი, კონიაკი და ათასი .სხვ. რამეები,—**ინგლისის მაღაზიაში.** იქვე ჩაი ვაჭართათვის ნარდათ: ფუთობით 40, 46, 52 და 58 მან. და გირვანქობით: 1 მ., 1 მ. 10 კ., 1 მ. 20 კ., 1 მ. 40 კ., 1 მ. 60 კ., 1 მ. 80., და უპირველი ხარისხისა 2 მ.—წონა უქაღალდოთ.

---

თოფები 20—60 მან., ჩოკ-ბორ (*choke bore*) *George Dau*-ს ფაბრიკიდამ—120 მან. რევოლვერები 4—34 მან. და ბულდოგისა 11—20 მ. ქალის უნაგირები 65 მან-დამ.; შეფილდის დანები ჩანგლებით 3 მან. 50 კაპ-დამ დუჟ., ალბომები ნახევარ ფასად, ფილტრები და სხვ.

უველაზედ უმრავლესი ამორჩევა თოფებისა და რევოლვერებისა თფილისში. (100—76)

---

ინგლისის მაღაზიაში

თმისაღმო-მყვანი



მაკ-მას-ტერი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკიცილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ (100—88)

---

**ლონდონის მაღაზია** კომერციულს ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაი-გასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შჩო კებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლემჩივინი ზეთისა) და სხვ. სააგენტო მაკინტოშის მოსასხურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატჯერის და კამპ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდების ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჭვაჯანას სიგარები. (100—73)

---

**ინგლისის მაღაზიაში ახლად მიღებულია** დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა 30% უკეთესი, ვიდრე სხვაგან. **იქვე ისყიდება:** პარუსინა 40 კაპ. დაწყებული; სტაქნები, ბაკლები 10 კაპ—დამ; პადნოსები 5 კ.—დამ, მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (100—67)


## ქალაქის გამგეობისაგან

თფილისის ქალაქის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამა თებერვლის 4-ს, შუადღეზე, გამგეობის სადგომში დანიშნულია ვაჭრობა (ტორგი) ერევნის მაედანზე მყოფის საქალაქო სახლის დანგრევის იჯარით გაცემაზედ.

ამ საქმის იჯარით აღების მსურველს, დაწვრილებით პირობათა შესატყობლად, შეუძლია მივიდეს ქალაქის გამგეობაში მუდამ დღე, უქმ დღეებს გარდა, დილის 10 საათიდამ ნაშუადღევის 2 საათამდინ. (3—3)


ი. და გ. ჭილაძეთა

წიგნის მაღაზია

## ქუთაისში

ბულვარის პირდაპირ, სობოროს გვერდით.

რომელსაც წინედ პ. ფ. გერარდის მაღაზია ერქვა, დღეიდამ ჩვენს ხელში გადმოვიდა. ვხმარობთ ყოველ ღონის-ძიებას, რომ მაღაზიის საქმე კიდევ უფრო კარგად წავიყვანოთ ყოველ-მხრივ, ვიდრე დღემდის იყო. იმედი გვაქვს პატივცემული საზოგადოება არა თუ არ მოაკლებს თავის ყურადღებას ამ მაღაზიას, რომელიც მუდამ მისს სიამოვნებას ცდილობდა, არამედ უფრო ყურადღებას მოგვაქცევს ამიერ. მაღაზიას აქვს ყველა სასწავლებელთათვის ყოველ-გვარი სახელმძღვანელო და ხელსაწყობი, მრავალი საკითხავი წიგნები ქართული და რუსული, ნოტები და სხვ.

მაღაზია იღებს ხელის-მოწერას ყველა ჟურნალ-გაზეთებზე სარედაქციო ფასით. (5—5)

---

**ინგლისის მაღაზიაში**

არწრუნის გალლერეიაში

(*Maison de confiance*)

შეადარეთ ჩვენი ჩაი ჩაის ყველგან

— — 1 მ. 10 კაპ.— 1 მ. 40 კაპ.
— — 1 „ 20 „ — 1 „ 60 კაპ.
— — 1 „ 40 „ — 1 „ 90 კაპ.
— — 1 „ 60 „ — 2 „ 20 კაპ.
— — 1 „ 80 „ — 2 „ 50 კაპ.
საუკეთესო 2 მანეთ. — 3 მანეთ.

ჩაის წონა—უქაღალდოდ, სხვაგან კი აქაღალდით. (100—84)


---

### ტაქსის

საკვებავ ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან თფილისის ბაზრებში, დუქნებში და დატარებით 1 თებერვლიდამ 16 თებერვლამდის.

გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 3½ |
| მეორის „ | —1 გირ. | 3 კ. |
| მესამის „ | —1 გირ. | — |

იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 6 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 4 კ. |

ჭვარის-მამის პური:

| | | |
|---|---|---|
| პირველ ხარის. ლავაში | 1 გირ. | 7 კ. |
| მეორის „ „ | —1 გირ. | 5 კ. |
| მესამის „ „ | —1 გირ. | 4½ |

ძროხის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 11 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 9 კ. |
| სუკი — — | —1 გირ. | 16 კ. |
| ცხვრის ხორცი | 1 გირ. | 12 კ. |

ღორის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველი ხარისხის | —1 გირ. | 12 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 11 კ. |

Дозволено цензурою: Тифлисъ, 3 Февраля 1882 г. Типографія С. Меликова. გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი